საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 603 2024 წლის 24 აპრილი ქ. თბილისი

„ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტის“
საქართველოს პარლამენტში დასამტკიცებლად წარდგენის შესახებ

1. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი“ თანდართული ფორმით დასამტკიცებლად წარედგინოს საქართველოს პარლამენტს.

2. „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში წარდგენილ ამ განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნულ დოკუმენტზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე - ნოდარ პაპუკაშვილი.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე